

ოლე

შენ ლიახვის კლდეზე დგახარ,
ძველი მოსასხამით, -
ოლე,
ოლე,
მარტოხეო,
დღისითა და ღამით;
შიგნიდანვე გამოძწვარო
მარტოობის შხამით,
შიგნიდანვე გაბზარულო,
დახეთქილო კეცად;
ხე ბრუნდევ და ხე მართალო,
ხეო, ერთო ბეწვა.

დგახარ, როგორც სახრჩობელა -
თვით გახრჩობენ მთები;
დაკიდებულ არწივს ჰგევხარ
მომსხვრეული ფრთებით.

რაშო, მიწას მიჭედილო,
ვეღარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხართ,
მარტოხეო ოლე!

გელანდება ნაჯახები
და გრიგალი დამჯახები
მწარედ აგათრთოლებს.
ცას ჯანლების აჯანყებით,
სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს
დამდნარ ძვლებით ეგებები,
მარტოხეო ოლე!
ზღვიდან ქარი წამოვიდა
და ღრუბელი ბუნდრად,
ცაში ელვა შეიკლაკნა,

შენკენ შემობრუნდა.
ქარის ეშვებს,
მეხი ბრეშას,
შენი მოთხრა უნდათ!
ყინვის კარჩხი თვალს გიკაწრავს,
ლაჟვარდის ველარ უმზერ,
წვიმის შუბი გალესილი
გიკაკუნებს გულზე;
მზე შემწველი, ცოფიანი,
ხრჩოლად აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო,
ნაოხარო,
მარტოხეო
ოლე!

მარტო ხარ და მარტო დგახარ,
ძმა არა გყავს, დედა,
მარტი ჩოხას შეგიკერავს
ზანზალებით ზედა,
წვიმით ქოჩორს დაივარცხნი,
ლამის წვეთს სვამ რძედა...
მხიარული საკრავებით
გაზაფხულის ვარსკვლავები
შენს ტოტებზე სხედან;
ოქროსხმიან სიმღერაში
თვალს ჰხუჭავ და ჰხედავ, -
შენზედ მარტო არვინ არი,
შენზე უფრო მეტად;
ბალდამის და ცრემლის სვეტო,
შენ, ქცეულო ხედა!

ვის გასცქერი, ვის მოელი,
გული ვისთვის გტკივა?
ვის მიაღწევს შენი ხმები,
ვის კერამდე მივა?

ვაო, თუ გზაში დაიღალა,
ვერ იარა სწრაფად;
ვაო, თუ კვირას ვერ მოვიდეს,
ვერც გამოჩნდეს შაბათს!
თუ მოწამლეს საყვარელი
შავი დარიშხანით,
და მის პერანგს აფრიალებს
გზაზედ ქარიშხალი!
წადი, ძებნე მეგობარი,
ვინმე წაიყოლე;
სხვა რომელი დაგიძახებს
მცირე სახელს, -
ოლე!

ტყე გეძახის მწვანე მხრიდან,
თავქოჩორა ღელე;
ტყეს უნდიხარ დიდიხნიდან,
გიქნევს ათას ხელეზს,

ტყე გეძახის ახვეტილი
ფალავნების ჯარით,
როგორც ვაჟი არხვატელი,
შავს რკინაში მჯდარი!

- გეყო, მარტო ერხეოდე,
გამიღია კარი!
გეყო, მხრებზე გეხვეოდეს
ეხოების ქარი!

მოდი ჩემთან, დაგაპურო,
არ გინახავს ხემსი,
მე აგიყვან ხელში,
როგორც
ნაპოვნ ბატკანს მწყემსი!

მოდო, მოგცე, გაგახარო,
ცოლი - მესაწოლე;
ოხერო და ნამეხარო,
მარტოხეო ოლე!

მაგრამ ცისკენ იყურება
შენი ოქროს თავი,
კოშკებად და ჯიხურებად
მოჰქრის ღრუბლის შვაკი.

მოჰქრის ცაში წასაყვანად
აკიბული კიბე,
დაგაყრიან ტოროლები
ატლასებს და დიბებს.

მზე, მარჯანზე უწითლესი,
მოგეგება წინა,
დაგიკოცნა ყველა ფესვი,
გულზე მიგიწვინა.

დაგესივნენ ვარსკვლავები,
დაირით და დოლით,
გაკვრევინეს სალამური,
გათამაშეს გოლი,
სთქვეს:
ნურც გტკივა, ნურცა გცივა,
ნულარც აგათრთოლებს, -
ტოტზე ტოტით გადამხვეო,
მარტოხეო ოლე!

ოლე,
ოლე,
მე ლიახვზე
დაგინახე წამით;
შიგნიდანვე გამომწვარი

მარტოობის შხამით,

შიგნი-შიგან დახლეჩილი
შრეებად და კეცად;
ყორანისგან ჩაყეფილო,
ხეო, ერთო ბეწვა!

მაღლა ზეცა პრიალებდა,
ძირს კავკასის მთები.
დაკიდებულ არწივს ჰგავდი
გაწყვეტილი ფრთებით...

რაშო, მიწას მიჭედილო,
გასჭერ, აიქროლე,
მარტოობის არტახები
გადახიე, ოლე!

რომ სთქვა:
გული თუ მტკიოდა,
ახლა აღარ მტკივა,
რომ ლიახვის რძიან ქაფში
შემოცურდე ტივად,
რომ გაგჩარხო და გაგთალო,
როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში
შუაბოდის ტოლი,
რომ გრძელ ტივებს მოუძლოდე
ხეთა წინამძლოლი!

მოდო ჩემთან,
ვიდრე მჰხი
დაგკრავს,
აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო, ნაოხარო,
მარტოხეო

აღე!